ოქმი:**ო63. 6324094001**
თარიღი:**03/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ო ქ მ ი N 01

ქ. სამტრედია

29 მარტი, 2024 წელი

2024 წლის 29 მარტს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ნათია პაპავა, ნუგზარ ჯამბურია, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, თამილა კეკელიძე, მაკა ხარებავა, ლევან გაბეჩავა, იზოლდა ნადირაძე, სოფიო კირთაძე, სოფიკო ახობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე, 2023 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.**

   /**მომხსენებელი:** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში; სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი - თამილა კეკელიძე /

2. **სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

/**მომხსენებელი:** სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

3. **სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, მეორე კვარტალში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ.**

/**მომხსენებელი:** სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

4. **სხვადასხვა.**

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (14 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, თამილა კეკელიძემ, ისაუბრა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე, 2023 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 5 ძირითად სფეროს. ესენია:

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.

3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

4. თანამშრომლობა და კოორდინაცია.

5. გენდერული თანასწორობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება.

მომხსენებელმა, დეტალურად ისაუბრა თითოეული სფეროს მიზანზე და ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებულ ღონისძიებებზე.

სფერო 1: ,,ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში", მიზანია: ქალთა საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა: მუნიციპალიტეტში დასაქმებული პერსონალის სქესის ნიშნით სეგრერირებული მონაცემების წარმოება; ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის განახლება-დამტკიცება გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით, მათ შორის შინაგანაწესში; საკარიერო განვითარების კურსებზე მუნიციპალიტეტში დასაქმებული ქალების მონაწილეობა; ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის, სექსუალური შევიწროვების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე; მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვის პროცესში, ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა სეგრერირებული მონაცემების წარმოება;

სფერო II: ,,ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა", მიზანია: მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა: მუნიციპალიტეტში ქალთა

მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მონაცემების დამუშავება; მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ, ადრეულ ქორწინებაზე ცნობადობის ამაღლება; მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის, დევნილი, შშმ პირების, ეკო-მიგრანტების, მარტოხელა დედებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებისათვის უფასო იურიდიული მომსახურების მიწოდება;

სფერო III: ,,ქალთა ეკონომიური გაძლიერება", მიზანია: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის ეკო-მიგრანტების, ეთნიკური უმცირების, დევნილების, მარტოხელა დედების, შშმ და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთათვის და ახალგაზრდებისთვის.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა: მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებისათვის პროფესიული განათლებისა და მეწარმეობის პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებისათვის, სოციალურ-ეკონომიურად გაძლიერების მიზნით სახელმწიფო საგანმანათლებლო და მეწარმეობის პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდებისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის, დევნილების, ეკომიგრანტების, მარტოხელა დედების, შშმ პირების და სხვა ჯგუფებისათვის ღონისძიებების ჩატარება; ქალებისა და ახალგაზრდებისათვის კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარება;

სფერო IV: ,,თანამშრომლობა და კოორდინაცია", მიზანია: კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეებზე.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა: პროექტები მუნიციპალიტეტსა და ცენტრალური ხელისუფლების თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის თემში; ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით, მათ შორის მუნიციპალიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის მიზნით განხორციელდა ღონისძიებები; ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციების გავლისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით, კოორდინირებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა; საქართველოში სხვა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობა;

სფერო V: ,,გენდერული თანასწორობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება",

მიზანია: გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის წარდგენა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის; საბჭოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშებისა და საბოლოო ანგარიშის წარდგენა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე, 2023 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ გამოქვეყნდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, საბჭოს წევრებს ესაუბრა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის საჭიროების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოს საქმიანობის ეფექტურობისათვის, მნიშვნელოვანია საბჭოს შემადგენლობის ,,მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების“, ,,სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“-სა და სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლით გაზრდა. ვინაიდან, ძალადობასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია, აღნიშნულ სამსახურებთან შედის და მათთან კოორდინირებული მუშაობა, გაცილებით ეფექტურს გახდის საბჭოს საქმიანობას. მეტად გამოიკვეთება პრობლემები და საჭიროებები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად(14 ხმით), მიიღეს გადაწყვეტილება, მიემართოს შესაბამის სამსახურებს, საბჭოს შემადგენლობაში შემოსვლის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, საბჭოს წევრებს სთხოვა მოსაზრება, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, მეორე კვარტალში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ.

საბჭოს წევრთა მიერ გამოითქვა მოსაზრებები, მოწყვლად ჯგუფებთან სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესახებ.

ტარიელ ცომაიამ აღნიშნა, რომ გოგონებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი სპორტის სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, მოვიწვიოთ ტრენერები და შეხვედრა მოვაწყოთ ბავშვებთან. გაღმა ზონის ახალგაზრდებისთვის პრობლემას წარმოადგენს წრეებზე სიარული, ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო.

ასევე სასურველია წარმატებულ ქალებთან შეხვედრა და მათი გამოცდილების გაზიარება.

სოფიო კირთაძე: ანგარიშის მოსმენის დროს დავრწმუნდი, რომ თურმე რამდენი რამ გაკეთებულა. მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას, ვარ საკმაოდ აქტიური და გთავაზობთ, რომ შევიკრიბოთ, დავიყოთ ჯგუფებად და ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ ახალგაზრდებთან გავმართოთ შეხვედრები. პირადად მე, შემიძლია ხუთი ტრენინგი ჩავატარო უსასყიდლოდ.

მანანა სირბილაძე: მე ყველაზე აქტიურ თემად და აქტუალურ პრობლემად მიმაჩნია ნარკო დამოკიდებულება. სასურველია ახალგაზრდებთან საუბარი ნარკოტიკის უარყოფით გავლენაზე.

ლევან გაბეჩავა: ვეთანხმები და მხარს ვუჭერ ტარიელ ცომაიას და სოფიო კირთაძის გამოთქმულ მოსაზრებებს. საინტერესო იქნებოდა ახალგაზრდული პარლამენტის წევრების შეხვედრა, მოქმედ პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან.

თამილა კეკელიძე: გასულ წელს, გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ძალადობის კვირეულის ფარგლებში მოგვესმინა ფსიქო თერაპევტ ლელა სტურუაზე, რომელმაც დეტალურად ისაუბრა ძალადობის ფორმებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები და საუბრები პრობლემებზე, არის ყველაზე კარგი პრევენცია. ქალბატონი ლელა დაგვპირდა, რომ ჩვენი სურვილის და მიმართვის შემთხვევაში, 2024 წელს ისევ გვესტუმრება. გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და კიდევ ერთი საინტერესო და ამავდროულად საჭირო შეხვედრა დავაორგანიზოთ.

სხდომის თავმჯდომარის და საბჭოს წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, რომ კიდევ ერთხელ შეკრებილიყვნენ, ყველა დეტალის დაგეგმვისა და გათვალისწინების მიზნით.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: თამილა კეკელიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალური გენდერული
თანასწორობის საბჭო-სამტრედიის მუნიციპალური
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი